გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 110

2020 წლის 11 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დგინდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს აპარატის მთლიანი საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 307.848 ერთეულს, ხოლო აღნიშნულის 5 % არის 15.3924 ერთეული. გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ამ ეტაპზე ხელშეკრულებით დასაქმებულია 22 პირი, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 4 პირი.

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის" 96-ე მუხლის თანახმად (ამავე კანონის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ამოქმედდება 2020 წლის 1 სექტემბრიდან) განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებები, კერძოდ: მუნიციპალიტეტის ორგანოები იღებენ ყველა საჭირო სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა ზომას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების დასანერგად მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის სამართლებრივი აქტის შემუშავებისას ან/და გადაწყვეტილების მიღებისას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე. მუნიციპალიტეტის ორგანოები ხელს უწყობენ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ბავშვთა თანაბარ და ეფექტიან მონაწილეობას და უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას. მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და

მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ სულ მცირე ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში შეიქმნა ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსით" განსაზღვრული წესითა და ვადებში განახორციელებს ამავე კოდექსით გათვალისწინებულ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის უფლება-მოვალეობებს.

აღნიშნული განყოფილების ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია ერთი განყოფილების ხელმძღვანელის საშტატო პოზიცია და სამი მე-3 რანგის 1-ლი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო პოზიცია, რომელ პოზიციებზეც დღეისათვის უკვე გამოცხადებულია და მიმდინარეობს საკონკურსო პროცედურები შემდეგი სპეციალისტების შესარჩევად: ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ინსპექტორი. ვინაიდან აღნიშნულ საშტატო ნუსხაში არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგის პოზიცია და „ბავშვის უფლებათა კოდექსი" მითითებული განყოფილების საქმიანობის წარმართვისათვის სავალდებულოდ თვლის ფსიქოლოგის პოზიციის გათვალისწინებას, მიზანშეწონილია ფსიქოლოგის შრომითი ხელშეკრულებით აყვანა, რომელიც იქნება განყოფილების საჯარო მოსამსახურე, მონაწილეობას მიიღებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებში ინტერდისციპლინური განხილვის პროცესში, დაადგენს ბავშვის მენტალურ ჯანმრთელობას, შეისწავლის მის ქცევას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახორციელებლი ღონისძიებების შესახებ. ბავშვის ფსიქოლოგი, საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპის გათვალისწინებით და მეუღლეების თანხმობით განახორციელებს ახალშექმნილი ოჯახის მხარდაჭერას შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში. აღნიშნული სერვისის განხორციელების მიზნით ბავშვის ფსიქოლოგი ბავშვისა და ოჯახის სოციალურ მუშაკთან ერთად, გარკვეული პერიოდულობით მოახდენს ბენეფიციარის ოჯახში ვიზიტს.

აღნიშნული განყოფილების ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია ერთი განყოფილების ხელმძღვანელის საშტატო პოზიცია და სამი მე-3 რანგის 1-ლი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო პოზიცია, რომელ პოზიციებზეც დღეისათვის უკვე გამოცხადებულია და მიმდინარეობს საკონკურსო პროცედურები შემდეგი სპეციალისტების შესარჩევად: ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ინსპექტორი. ვინაიდან აღნიშნულ საშტატო ნუსხაში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ოჯახის სოციალური მუშაკის საშტატო პოზიცია და საჭიროა კიდევ ერთი ოჯახის სოციალური მუშაკი, მიზანშეწონილია შრომითი ხელშეკრულებით კიდევ ერთი სოციალური მუშაკის აყვანა, რომელიც იქნება განყოფილების საჯარო მოსამსახურე და განახორციელებს შემდეგ ფუნქციებს: განახორციელებს ბავშვის მდგომარეობის შეფასებას ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას ინტერდისციპლინური განხილვის საფუძველზე; უზრუნველყოფს ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით დადგენილი მომსახურებებისადმი ბავშვის ხელმისაწვდომობას; კოორდინაციას გაუწევს სამოქმედო გეგმის აღსრულების პროცესს ბავშვის უფლებების დაცვის და

მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილ სუბიექტებთან თანამშრომლობით; საქმის წარმოების ერთიანი სისტემის გამოყენებით მონიტორინგს გაუწევს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების პროცესს და შეადგენს ანგარიშს; საგანმანათლებლო-აღმზრდელობით, კულტურისა და სასპორტო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ გაერთანებებთან და სხვა ბავშვის თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების თაობაზე; ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი ახორციელებს ვიზიტს ოჯახში/ბავშვის განთავსების ადგილზე. თუ ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ საქმე ეხება გადაუდებელ მდგომარეობას, დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს. გადაუდებელია მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ზემოაღნიშნული შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა საჭიროებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებას, თუ საჯარო დაწესებულებაში 30 დღეზე მეტი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა აღემატება შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის 1%-ს (გორის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 3.07848 ერთეული). იმ საჯარო დაწესებულებაში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 1% 5 ერთეულზე ნაკლებია, შეთანხმებას საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც 5 ერთეულზე მეტია. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება მუნიციპალიტეტის შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემა შრომითი ხელშეკრულებით დამატებით ორი პირის დასაქმებაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა შრომითი ხელშეკრულებით დამატებით 2 (ორი) პირის დასაქმებაზე.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე